Dokhturishvili, N., (2022). Demographic Problems of Kakheti Region.
Innovative Economics and Management, *9*(2), 76-85.
DOI: https://doi.org/10.46361/2449-2604.9.2.2022.76-85

DEMOGRAPHIC PROBLEMS OF KAKHETI REGION

Nino Dokhturishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia
E-mail: nino.doxturishvili@tsu.ge
ORCID ID: /0000-0001-8291-3388

DOI:10.46361/2449-2604.9.2.2022.76-85

ABSTRACT. The demographic development of Georgia and the trends of the current demographic processes are discussed by Georgian demographers in general, throughout the country. There are relatively few researches performed in the direction of regional demography. Kakheti region is an important region of Georgia from both socio-economic and demographic point of view. According to the data of 2021, the population of Kakheti is slightly more than 8 percent of the population of Georgia (310 thousand), and it is inferior in number only to Adjara, Imereti and Kvemo Kartli. The purpose of the article is to reveal the modern trends of demographic processes in the Kakheti region and reveal the quantitative analysis. In order to achieve this goal, in the article I analyzed the statistical characteristics of the current demographic processes in Kakheti. On the basis of which, argumentative conclusions were developed in full compliance with the ethics of statistics. In the process of working on the article, the database of the National Statistical Service of Georgia was used. According to the data of the National Statistical Service of Georgia, the tendency of the population of Kakheti to decrease has been recorded since the 90s of the last century. By 2021, the population of Kakheti region amounted to 309.6 thousand people, which decreased by 0.005% compared to the previous year, and decreased by 0.2% compared to 2010 (Georgian National Statistics Service). We can clearly see that the population of the Kakheti region is characterized by a sharp decreasing trend, which is clearly visible in the diagram. It is interesting to discuss the population in Georgia in terms of birth, mortality, natural increase and migration. In the Kakheti region, as well as in the whole of Georgia, social, political, ethnic, psychological and economic problems, which affect the socio-economic situation of each family, are the reasons for the decrease in the birth rate. The issue of mortality and life expectancy is no less problematic. The increase in mortality over time was typical for all regions, including the Kakheti region, which is mainly the result of demographic aging. Life expectancy at birth for men in the Kakheti region is 68.9 years, and for women - 76.5 years. Migration has a significant impact on the demographic structure of the population. The influence of migration on the social and ethnic structure of the population, the distribution and settlement of the population is also great. The main reasons for migration are socio-economic, but political and military reasons, as well as natural conditions, are also important. Internal migration is a special problem. A large part of the population has moved to the capitals. According to the data of the general census, which was conducted in 2014, the population has decreased by more than 600 thousand. The rural population has decreased by almost 24%. In order to reduce internal migration, the government must ensure that the population returns to the mountainous regions and villages, so that the villages and regions are not depopulated. Based on the materials of the 2014 population census, the internal migrants of the Kakheti region made up 8.6%. It can be said that the Kakheti region is facing the trend of population reduction and aging of the nation at the same time. To stop all this, it is necessary to conduct an active demographic policy.

JEL Classification: O15 P23 P42 P48 R23

Keywords: Analysis, method. Reduction, natural movement, demographic policy

შესავალი

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება საკმაოდ რთულია. ამას ადასტურებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და სხვა ექსპერტთა შეფასებებიც. დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება დიდი ხანია უკვე საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, რაც ფაქტიურად საფრთხეს უქმნის ქართველ ერს.

განვითარებულ ქვეყნებში დემო ეკონომიკურ და სოციალ პრობლემებს ქმნის შობადობის დაბალი დონე, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - შობადობის მაღალი დონე, რაც გამოიხატება სამუშაო ძალის სიჭარბესა და უმუშევრობაში, მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფაში, კრიმინოგენური ვითარების გაუარესებაში და სხვ [1].

ლიტერატურის მიმოხილვა

„დემოგრაფია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხის აღწერას. მეცნიერულ ბრუნვაში აღნიშნული ტერმინი პირველად შემოიტანა ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა 1855 წელს ნაშრომში - „ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები ანუ შედარებითი დემოგრაფია“. მან დემოგრაფიას ახალი მეცნიერება უწოდა. პირველი მცდელობა მოსახლეობის შემსწავლელი მეცნიერებისათვის ეწოდებინათ სახელი, ეკუთვნის K. Bernulis, რომელმაც 1841 წელს შემოიტანა ახალი ტერმინი „populacionistika”. აღნიშნული მეცნიერების სახელად გერმანელმა მეცნიერმა rixard for molma 1858 საზოგადოებას შესთავაზა ტერმინი - „მეცნიერება მოსახლეობის შესახებ“. ხოლო 1871 წელს ცნობილმა გერმანელმა სტატისტიკოსმა G. Engelma მას დემოგრაფია უწოდა. უნდა ითქვას რომ როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე საზოგადოებაში საყოველთაო აღიარება ჰპოვა და გავრცელდა ტერმინი დემოგრაფია[1].

დემოგრაფიული სტატისტიკის შესწავლის ობიექტია მოსახლეობა. მოსახლეობა არის გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანთა ერთობლიობა, მაგრამ ადამიანთა ყოველ ერთობლიობას არ შეიძლება ეწოდოს მოსახლეობა. **მოსახლეობა წარმოადგენს ადამიანთა მრავალრიცხოვანი, მასობრივი ერთობლიობა, რომელსაც მოცემულ პირობებში გააჩნია გამრავლების, თვითშენარჩუნების უნარი**[2]. ამ თვალსაზღისით შეიძლება ვილაპარაკოთ კონკრეტული ქალაქის, რეგიონის, სოფლის თუ მთლი ქვეყნის მოსახლეობაზე. თუმცა, საკმაოდ მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პროცესების გაანალიზების პარალელურ რეჟიმში საქართველოში შრომის ბაზრის სტრატეგიების შემუშავების ძირითადი მექანიზმების[3] და საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გაანალიზება. ნაშრომი აანალიზებს და აფასებს საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას პანდემიის პირობებში. სტატიაში განხილულია საქართველოში შრომის ბაზრის ამჟამინდელი, პოსტპანდემიური მდგომარეობა და კოვიდ-19-ის შედეგები, გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე[4]. ასევე საკმაოდ საინტერესოა დემოგრაფიული პროცესების განხილვა საქართველოში შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციების მიხედვით[5].

დემოგრაფიულ პროცესებს მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება-განქორწინება და მიგრაცია, რომლებიც ყალიბდება დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინების, განქორწინების და მიგრაციის კონკრეტული დემოგრაფიული ფაქტებისაგან. სწორედ ეს დემოგრაფიულო მოვლენები და ფაქტები გვაძლევს დემოგრაფიულ პროცესებს[1].

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთა ტენდენციები ქართველ დემოგრაფთა მიერ ძირითადად განხილულია ზოგადად, მთელი ქვეყ-

ნის მაშტაბით. შედარებით ნაკლებადაა წარმოჩენილი რეგიონული დემოგრაფიის მიმართულებით შესრულებული გამოკვლევები [6].

კახეთის რეგიონი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონია როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით. 2021 წლის მონაცემებით კახეთის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 8 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენს(310 ათასი), და რიცხოვნობით ჩამორჩება მხოლოდ აჭარას, იმერეთს და ქვემო ქართლს[7]. დემოგრაფიული პროცესები დიფერენცირებულია რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით რასაც განაპირობებს კახეთის **მოსახლეობის ეთნიკურ- კონფესიური შემადგენლობა, რაც მოცემული რეგიონის დემოგრაფიულ შესწავლას მეტად აქტუალურს ხდის.**

კვლევის მეთოდოლოგია

სტატიის მიზანი არის კახეთის რეგიონში დემოგრაფიული პროცესების თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა და რაოდენობრივი ანალიზის გამოვლენა. ამ მიზრნის მისაღწევად სტატიაში გავაანალიზე კახეთშიში მიმდინარე დემოგრაფიული პროსების სტატისტიკური მახასიათებლები. რის საფუძველზეც შემუშავებული იქნა არგუმენტირენული დასკვნები სტატისტიკის ეთიკის სრული დაცვით. სტატიაზე მუშაობის პროცეში გამოყენებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა [7]. გამოკვლევის ანალიზზე შესაბამისად გამოყენებული იქნა დაკვირვების მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების გაანგარიშება მოხდა კომპიუტერული პროგრამის ექსელის გამოყენებით. სტატისტიკური კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა მონაცემთა შეგროვების, დაჯგუფების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები განზოგადებულია დედუქციის მეთოდით.

კვლევისა და შედეგები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით კახეთის მოსახლეობის შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. 2021 წლისთვის კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 309,6 ათასი კაცი, რომელიც წინა წელთან შედარებით შემცირდა - 0,005 %-ით, ხოლო 2010 წელთან შედარებით შემცირდა 0,2%-ით [7]. ნათლად ვხედავთ, რომ კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა მკვეთრი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც კარგად ჩანს დიაგრამაში (იხ. დიაგრამა 1).

საინტერესოა საქართველოში მოსახლეობის განხილვა შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების და მიგრაციის თვალსაზრისით.

შობადობის შემცირებამ კახეთის რეგიონი დიდი პრობლემების წინაშე დააყენა. პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა პოსტსაბჭოთა პერიოდში. 2021 წელს კახეთის რეგიონში დაიბადა 3790 ბავშვი, რაც 1990-იან წლებში დაბადებულთა ნახევარია. შობადობის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, ე.ი. შვილების თაობა არ არის მშობლების თაობაზე რიცხობრივად მეტი. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გამოიკვეთა კანონზომიერება: შობადობის შემცირების კვალობაზე მცირდება შობადობა ახალგაზრდა ასაკებში და იზრდება უფროს, 25 წელს გადაცილებულ ასაკებში, მაშინ, როდესაც 90 -იან წლებამდე პირიქით იყო.

ISSN 2449-2418 P.
ISSN 2449-260 O.

დიაგრამა 1

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

დემოგრაფიულ საკითხებში სახელმწიფოს მიერ გატარდა პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს იმ რეგიონებში, სადაც არსებობს შობადობის მნიშვნელოვანი კლება და არ არის ბუნებრივი მატება, ყოველი მესამე შვილზე სახელმწიფოსგან ყოველთვიური დახმარება, უფასო მშობიარობა. ასევე პატრიარქის ინიციატივით დაწყებული ე.წ „საყოველთაო ნათლობა"-ც მიმართული იყო შობადობის გაზრდისკენ. მიუხედავად ამ გატარებული პოლიტიკისა როგორც კახეთის რეგიონში, ასევე მთელს საქართველოში შობადობა კლების ტენდენციით ხასიათდება (იხ.დიაგრამა 2).

დიაგრამა 2
დაბადებულთა რიცხოვნობა კახეთის რეგიონში



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

კახეთის რეგიონში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, შობადობის შემცირების მიზეზებად სახელდება სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები, რაც მოქმედებს თითოეული ოჯახის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საინტერესოა კახეთის რეგიონის მოსახლეობის დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით. 2021 წელს კახეთის რეგიონში დაიბადა ბიჭი 23 911, ხოლო გოგო - 22 035. დიაგრამიდან კარგად ჩანს რომ როგორც გოგონებში ასევე ბიჭებში არის უარყოფითი მატება და ადგილი აქვს მკვეთრ შობადობის შემცირებას (იხ. დიაგრამა 3). ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებელი კახეთის რეგიონში დაფიქსირდა 2014 წელს როგორც ვაჟებში ასევე გოგონებში [7].

დიაგრამა 3



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

არანაკლებ პრობლემატურია მოკვდაობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხი. მართალია სიცოცხლის ხანგრძლივობით საქართველო ჩამორჩენილ ქვეყნებს არ განეკუთვნება, მაგრამ მსოფლიოს ქვეყნებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა სიცოცხლის ხანგრძლივობის გენდერული სხვაობის მიხედვით. კერძოდ, 2021 წელს ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობამ შეადგინა 75,4, ხოლი კაცების-67,5 წელი. ფაქტობრივად 8 წელი. ამაზე მეტი სხვაობა ფიქსირდება ბელორუსსა და რუსეთში. დემოგრაფიულ ვითარებას დიდი დარტყმა მიაყენა პანდემიამ. 2020-2021 წლებში გარდაცვლილთა რიცხვი 50,5-დან 59,9 ათასამდე გაიზარდა, ხოლო მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით) 13,6-დნ დან 16,2 -მდე [7] (იხ.დიაგრამა 4).

მოკვდაობის ზრდა დროთა განმავლობაში ყველა რეგიონისთვის იყო დამახასიათებელი, მათ შორის კახეთის რეგიონისთვისაც, რაც ძირითადად დემოგრაფიული დაბერების შედეგია. კახეთის რეგიონში მამაკაცებისთვის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენს 68,9 წელს, ხოლო ქალებში - 76,5 წელს.

დიაგრამა 4



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შედარებით შეიძლება ვთქვათ, რომ შობადობის შემცირებისა და სიკვდილიანობის ზრდის პარალელურად მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კახეთის რეგიონში 2020 და 2021 წელს შესაბამისად -716 და -1743 უარყოფითი სიდიდით ხასიათდება. 2004 წელს უარყოფითმა ბუნებრივმა მატებამ -1899 კაცი შეადგინა, რაც კახეთის რეგიონში მთელი სტატისტიკური ისტორიის მანძილზე არ დაფიქსირებულა. ბუნებრივი მატების კოეფიციენტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2014 წელს 187, ხოლო 2015 წელს 255 კაცი [7] (იხ.დიაგრამა 5).

დიაგრამა 5



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს თან ერთვის ფელტირულ ასაკში ახალგაზრდების უცხოეთში გადინების პრობლემა. ზოგადად ბავშვთა დაბადების ძირითადი 60%-ი მოდის 20-29 წლის ასაკის ქალებზე და საქართველოდან ემიგრაციაში მიდის სწორედ 20-დან 40 წლამდე ახალგაზრდა. 2010 – 2021 წლებში სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით ყველაზე

მაღალი გადინება დაფიქსირდა ამ ასაკისთვის 2011 წელს 15 300 კაცი და 2021 წელს - 11 389 კაცი. პოსტსაბჭოთა საქართველოში მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია ემიგრაციამ, რამაც შობადობის შემცირებასთან ერთად გამოიწვია მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი შემცირება: 5,4 მლნ-დან 1992 წელს 3,69 მლნ-მდე 2022 წელს. მხოლოდ 2021-2022 წლებში საქართველოს მოსახლეობა 40 ათასი მცხოვრებით შემცირდა. დეპოპულაციის თვალსაზრისით ყველაზე მძიმე ვითარება შეინიშნებოდა 2002 წელს. ამ დროისთვის დეპოპულაცია მიმდინარეობდა კახეთში და კიდევ ხუთ რეგიონში(რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი). იმ დროისთვის აღნიშნულ რეგიონებში , საქართველოს მოსახლეობის 43,3% იმყოფებოდა [8][9]. 2014 წლისთვის მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა და დეპოპულაციამ დაიკლო ყველა აღნიშნულ რეგიონში, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის. რაც შეეხება კახეთს იქ დეპოპულაცია შეიცვალა ძალიან უმნიშვნელო ბუნებრივი მატებით.

მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე[10]. ასევე დიდია მიგრაციის გავლენა მოსახლეობის სოციალურ და ეთნიკურ სტრუქტურაზე, მოსახლეობის განლაგებასა და განსახლებაზე [11]. მიგრაციის ძირითადი მიზეზები სოციალ-ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და სამხედრო მიზეზებსაც, აგრეთვე ბუნებრივ პირობებს [12]. განსაკუთრებული პრობლემაა შიდა მიგრაცია. მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასულია დედაქალაქებში. საყოველთაო აღწერის მონაცემებით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა, 600 ათასზე მეტითაა შემცირებული მოსახლეობის რაოდენობა. თითქმის 24%-ითაა შემცირებული სოფლის მოსახლეობა. შიდა მიგრაციის შესამცირებლად აუცილებლად უნდა იზრუნოს მთავრობამ, რომ მთიან რეგიონებს, სოფლებს დაუბრუნდეს მოსახლეობა, რადგან არ მოხდეს სოფლები და რეგიონების გაუკაცრიელება. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების საფუძველზე კახეთის რეგიონის შიდა მიგრანტებმა შეადგინა 8,6 %. სამწუხაროდ რეგიონულ ჭრილში მიგრაციის ყოველწლიური სტატისტიკა არ არსებობს.

შეიძლება ითქვას რომ კახეთის რეგიონი ერთდროულად დგას როგორც მოსახლეობის შემცირების, ისე ერის დაბერების ზრდის ტენდენცია. ამ ყველაფრის შესაჩერებლად კი საჭიროა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კახეთის რეგიონის მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. საწყის ეტაპზე რთული აღმოჩნდა დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შეჩერება და შეუძლებელი გახდა ეფექტური და დროული რეფორმების განხორციელება. შექმნილი მდგომარეობისთვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება:

- შობადობის გაზრდა, სიკვდილიანობისა და მიგრაციის შემცირება, სოფლებში მოსახლეობის დაბრუნება, უმუშევრობის დაძლევა, ჯანდაცვისა და განათლების ხელშეწყობა - ეს ის ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყანაში დემოგრაფიულ მდგომარეობას და ის პრობლემებია, რომელთა მოგვარებაც უნდა შეძლოს სახელმწიფომ.
- მეტად საყურადღებოა შიდა მიგრაცია, რადგან მასიური შიდა მიგრაცია გვაყენებს იმ საფრთხის წინაშე რაც გულისხმობს სოფლებისა და კუთხეების დაცარიელებას და გაუკაცრიელებას. რაც მიუღებელია ქვეყნისთვის და სახელმწიფომ განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ფაქტს, რომ არ დაუშვას სოფლების დაცლა.

- ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის წახალისება არა მესამე ბავშვიდან, არამედ პირველი ბავშვის შეძენიდან და მატერიალური სტიმულირება უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო ბავშვის დაბადების შემთხვევაში;
- სახელმწიფომ დახმარება უნდა გაუწიოს ოჯახებს ბავშვების მზრუნველობასთან დაკავშირებულ ხარჯების დაფარვაში;
- სახელმწიფომ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის უნდა დააწესოს საგადასახადო შეღავათები, კომუნალურ გადასახადზე შეღავათები; სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის გადახდაზე.
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა უნდა განისაზღვროს ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურების ოდენობით.
- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს შიდა მიგრაციული პროცესების შემცირებაზე; სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მთიან რეგიონებს და სოფლებს დაუბრუნდეს მოსახლეობა.
- გათვალისწინებული იქნეს სოფლებში და მთიან რეგიონებში ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება. კახეთის რეგიონში მხოლოდ სოციალურ თემატიკას არ უნდა მიეცეს ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან.

დოხტურიშვილი ნ., (2022). *ინოვაციური ეკონომიკა და მართვა* 9(2), 76-84.

DOI: https://doi.org/10.46361/2449-2604.9.2.2022.76-84

ნინო დოხტურიშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი თბილისი, საქართველო
E-mail: nino.doxturishvili@tsu.ge
ORCID ID: /0000-0001-8291-3388

კახეთის რეგიონის დემოგრაფიული პრობლემები

აბსტრაქტი. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე მკაფიოდ გამოიკვეთა, როგორც მოსახლეობის შემცირება ისე ერის დაბერების ზრდის ტენდეციები, სიკვდილიანობისა და მკვდრადშობადობის მაღალი დონე, შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა, ფართო მასშტაბიანი გარე და შიდა (სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადინება) მიგრაციული პროცესები.
მოსახლეობის განვითარების ტენდეციების გათვალისწინება არის როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტი. აქედან გამომდინარე საინტერესო და მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის განხილვა რეგიონების მიხედვით. კახეთის რეგიონი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით. 2021 წლის მონაცემებით კახეთის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 8 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენს (310 ათასი) და რიცხოვნობით ჩამორჩება მხოლოდ აჭარას, იმერეთს და ქვემო ქართლს. დემოგრაფიული პროცესები დიფერენცირებულია რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით რასაც განაპირობებს კახეთის მოსახლეობის ეთნიკურ - კონფესიური შემადგენლობა, რაც მოცემული რეგიონის დემოგრაფიულ შესწავლას მეტად აქტუალურს ხდის.
სტატიაზე მუშაობის პროცეში გამოყენებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა. გამოკვ-

ლევის ანალიზზე შესაბამისად გამოყენებული იქნა დაკვირვების მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების გაანგარიშება მოხდა კომპიუტერული პროგრამის ექსელის გამოყენებით. შედეგები მეტად დამაფიქრებელია. ბოლო სამი აღწერის დინამიკაში კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები მკვეთრად შემცირებულია, შობადობა კრიზისულ ზღვრამდე დაეცა, მაღალი დონე გამოვლინდა სიკვდილიანობის და მკვდრადშობადობის, კახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მატება კლებისკენ მიდის, შრომისუნარიანი მოსახლეობა შემცირდა. სამწუხაროდ რეგიონულ ჭრილში მიგრაციის სტატისტიკა არ არსებობს.

DOI: 10.46361/2449-2604.9.2.2022.76-85

სტატიის **კვლევის მიზანია** შევაფასოთ წლების მანძილზე წარმოშობილი კახეთის რეგიონის დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზები.

კახეთის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკა მოწმობს, რომ მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. საწყის ეტაპზე რთულია დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შეჩერება. შექმნილი მდგომარეობისთვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება.

JEL Classification:. **O15 P23** P42 P48 R23

საკვანძო სიტყვები ანალიზი, მეთოდი, შემცირება, ბუნებრივი მოძრაობა, დემოგრაფიული პოლიტიკა.

ლიტერატურა/REFERENCES

[1] ხმალაძე, მერაბ, ჩიტალაძე ქეთევან. 2020. *დემოგრაფიული სტატისტიკა*. თბილისი. ელ-ვერსია.

[2] ხმალაძე მერაბ, დემოგრაფია. თბ. 2009

[3] Nino Paresashvili „Major Mechanisms to Develop the Strategies of the Labor Market in Georgia", Journal: Procedia - Social and Behavioral Sciences, Volume 213, 1 December 2015, Pages 574-579, https://doi.org/10.1016/j.sbspro.2015.11.452

[4] Nino Paresashvili1, Nino Abesadze, Rusudan Kinkladze, Ketevan Chitaladze and Teona Edzgveradze, „Georgian Labour Market during the Coronavirus Pandemic", SHS Web of Conf., Volume 92, 2021 The 20th International Scientific Conference Globalization and its Socio-Economic Consequences 2020, https://doi.org/10.1051/shsconf/20219207046

[5]Nino Paresashvili, Rusudan Kinkladze, Ketevan Chitaladze, Zumrud Nadjafova, Teona Edzgveradze, "LABOR MARKET MANAGEMENT MECHANISMS IN GEORGIA ACCORDING TO CURRENT TRENDS", 55th International Scientific Conference on Economic and Social Development – Baku, 18-19 June, 2020, pg. 372-376

[6] მელაძე, გიორგი. წულაძე, გიორგი. 1997. *საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები*. თბილისი.

[7] სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

[8] წულაძე, გიორგი. სულაბერიძე ავთანდილ. 2016. *საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები*. თბილისი. „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი“

[9] კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია https://www.kakheti.gov.ge/geo/static/5/regions

[10] ტუხაშავილი მირიანი საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. თბ., 1996

[11] ტუხაშავილი მირიანი საქართველოს გარე მიგრაციული პრობლემები. კრებული: მიგრაცია 1. თბ., 2007

[12] ხმალაძე, მერაბ. 2008. *სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში*. თბილისი. „მერიდიანი“.